ბოლშევიკური ახალგაზრდობისათვის

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

№ 16 (23) || 30 სექტემბერი || № 16 (23)

სტუდენტების ყოფა-ცხოვრებას მეტი ყურადღება

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ საკ. კ. პ (ბ) ცეკას დადგენილებას ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალურ ინსტიტუტის შესახებ. ეს დოკუმენტი ამომწურავად ააშკარავებს ნოვოჩერკასკის ინსტიტუტის სტუდენტთა ცუდ საყოფა-ცხოვრებო მდგომარეობას. ასეთი მდგომარეობაა დაახლოვებით საბჭოთა კავშირის სხვა ინსტიტუტებშიც და, მათ შორის, ტფილისის უნივერსიტეტშიც.

ცეკას ეს დადგენილება, რომელშიც გათვალისწინებულია გადამჭრელი ღონისძიებები სტუდენტთა ყოფა-ცხოვრებითი პირობების გაუმჯობესებისათვის, წარმოადგენს იმ ზღვარს საიდანაც უნდა დაიწყოს საბჭოთა სტუდენტობის მატერიალური პირობების შემდგომი გაუმჯობესება.

რატომ ვსვამთ საკითხს დღეს მატერიალურ პირობების გაუმჯობესების შესახებ? განა ამ დარგში, უკანასკნელი წლების მანძილზე არაფერი გაკეთებულა? პირიქით. პარტიამ ფართოდ გაშალა ჩვენს ქვეყანაში უნივერსიტეტების და ინსტიტუტების ქსელი, რომლებიც გვიმზადებენ სოც. აღმშენებლობისათვის კვალიფიციურ წითელ კადრებს. საბჭოთა ხელისუფლება ხარჯავს დიდ თანხებს საბჭოთა სტუდენტების სწავლების ნორმალური პირობების შესაქმნელად. სტიპენდიების დანიშვნა საერთო საცხოვრებლების, ფაბრიკა—სამზარეულოების, აბანოების და სამრეცხაოების მოწყობა,—აი ის რეალური დახმარება, რომელსაც უწევს პარტია და ხელისუფლება საბჭოთა სტუდენტობას. „და თუ ეხლა, საბჭოთა მოსწავლეთა ესა თუ ის ჯგუფი ვარდება ისეთ პირობებში, როგორიც გამოამჟღავნდა ნოვოჩერკასკის ინსტიტუტში, ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ საძმე ხელში აძვთ ჩაგდებული ჩინოვნიკებს და ბიუროკრატებს“ („პრავდა“).

დღეს ყველამ იცის, რომ საბჭოთა სტუდენტობა, როგორც „პრავდას“ მოწინავეშია ნათქვამი. თავისი სწავლებისას იმყოფება პროლეტარულ სახელმწიფოს საპასუხისმგებლო სამეცნიერო მივლინებაში. ხვალ თუ ზეგ ის უნდა გავიდეს სოც. აღმშენებლობის გაშლილ ფრონტზე. ამ ფრონტზე ჩვენმა სტუდენტობამ უნდა დაიკავოს აღმშენებლობის მეთაურების თანამდებობანი. ამ საპატიო ამოცანის შესრულებისათვის სტუდენტს ესაჭიროება მეცნიერების ზედმიწევნით დაუფლება.

თავისთავად ცხადია, რომ სწავლებაში სტუდენტობას მაქსიმალური დახმარება უნდა აღმოუჩინონ ყველა ორგანიზაციებმა: უმაღლეს სასწავლებლის დირექციამ, სტ. ქალ. ხელმძღვანელობამ და აგრეთვე იმ პირებმა (იქნება ის დამლაგებელი, თუ კომენდანტი, მზარეული, თუ საჭმლის მიმტანი), რომელთა მოვალეობაა მომსახურეობა გაუწიონ ჩვენს სტუდენტებს.

„ეს პირები დაყენებულია სახელმწიფოს მიერ ამ უბანზე სამუშაოდ იმიტომ, რომ ყოველდღიურად ხელი შეუწყონ სტუდენტების ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას და შეჰქმნან პირობები პარტიული აღზრდის განმტკიცებისათვის და მხიარული, კულტურულ ცხოვრებისათვის. ამ პირებიდან პარტია მოითხოვს ნამდვილ მუშაკლიურ მზრუნველობას“. („პრავდა).

რა გაკეთდა დღემდე სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ მიმართულებით? ძლიერ ბევრი. 1000 სტუდენტზე მეტი ცხოვრობს სტ. ქალაქში, 4000 კაცი სადილობს სტუდენტთა სასადილოებში, სადაც ხელმისაწვდომ ფასებში იძლევიან ნოყიერ და კარგი ხარისხის სადილებს. სტუდენტთა 65% ღებულობს სახ. სტიპენდიას 70 მანეთიდან 130 მანეთამდე, სტუდიაზეტების თეატრალური და საკლუბო მომსახურეობა წელს მკვიდრ ნიადაგზე დგება, ვითარდება ფიზკულტურული მუშაობა. მაგრამ რაც გაკეთებულია ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს. ჩვენ ძლიერ ბევრი ნაკლი გვაქვს:

ცუდათაა დაყენებული სტუდენტობის კოპერატიული მომსახურეობა, არ ვარგა ჩვენი ბუფეტები, დიდი დეფიციტი გვაქვს საწოლეებისა საცხოვრებლებში, რაც იწვევს აუტანელ პირობების შექმნას სტუდენტების მნიშვნელოვან ნაწილისათვის (200—250 კაცი); მწვავედ სდგას ტრამვმის მიმოსვლის მოწესრიგების საკითხი; არსებული საცხოვრებლებში ვერ არის გაშლილი სათანადოთ მასიურ—აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტებს შორის ყოფა-ცხოვრებით საკითხებზე და სხვ.

ცეკას დადგენილებამ ნოვოჩერკასკის ინსტიტუტის შესახებ ფართო გამოძახილი ჰპოვა ტფილისის უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოთ ტფილისის სახ. უნივერსიტეტში. რექტორატმა და პარტკომმა გადადგეს სერიოზული ნაბიჯები. ამ დღეებში ორჯონიკიძის სახ. პარტრაიკომი უნივერსიტეტის კლუბში ჩაატარებს თავის სპეციალურ პლენუმს, რომელიც განიხილავს სტუდენტობის ყოფ. ცხოვრებითი პირობების გაუმჯობესების აქტუალურ საკითხებს და გამოიტანს სათანადო დადგენილებას.

სახ. უნივერსიტეტის ყველა ორგანიზაციები უნდა დაირაზმონ პარტკომის და რაიკომის ღონისძიებათა დაუყონებლივ ცხოვრებაში გასატარებლად.

საათების გაცდენა სოციალისტური ქონების გაფლანგვა

გაცდენილია 9581 სტუდენტ.—საათი

მიმდინარე სასწავლო წელი წარმოადგენს სწავლების მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისთვის ბრძოლის წელს. წარსული წლის მიღწევების განმტკიცებისა და ძველი დეფექტების აღმოფხვრის საფუძველზე, წელს კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ სწავლების ხარისხი.

ეს კი შეუძლებელია პედაგოგიურ პერსონალსა და სტუდენტთა შორის დისციპლინის განმტკიცებისა და სამუშაო დღის მაქსიმალურად შემჭიდროების გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარგში ჩამორჩენა გვაქვს: სწავლის პირველი შედეგები გვიჩვენებს, რომ საკმაოდ დიდია სტუდენტებისა და პედ. პერსონალის მიერ გაცდენილი საათების რაოდენობა. ოქტომბრის პირველი ორი ექვსდღიურის განმავლობაში (1—12 ოქტომბრამდის) **გაცდენილია პედ. პერსონალის მიერ 195 საათი,** აქედან საპატიო მიზეზით 88 საათი, არა საპატიოთი—107 საათი. გასული სასწავლო წლის ივნისში პედპერსონალის მიერ გაცდენილი საათების რაოდენობა ექვსდღიურში უდრიდა საშუალოდ 8 საათს.

ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი პროფესორ-ლექტორი ჯერ კიდევ არ გრძნობს პასუხისმგებლობას თავისი მოვალეობისათვის და გულგრილად ეკიდება საქმეს. მათ ერთხელ კიდევ უნდა მოვაგონოთ, რომ **სალექციო საათების გაცდენა უდრის სოციალისტური საკუთრების გაფლანგვას.**

პროფესორ-ლექტორების მიერ საათების გაცდენას არ ჩამოუვარდება საათების გაცდენა სტუდენტების მხრივ: 1-12 ოქტომბრამდის (ორი ექვსდღიური) გაცდენილია ყველა ფაკულტეტზე 9.581 სტუდენტ-საათი.

ცალკე ფაკულტეტების მიხედვით გაცდენები იძლევა შემდეგ სურათს:

ეკონომიურ ფაკულტეტზე გაცდენილია (1-12 ოქტომბრამდის) —4.119 სტუდ.-საათი.

ლიტერატურულ ფაკულტეტზე —1.840 სტ.-საათი.

სამართლის ფაკულტეტზე—808 სტუდ.-საათი.

ისტორიულ ფაკულტეტზე—788 სტუდ.-საათი.

გეოგრაფიულ-გეოლოგიურ ფაკულტეტზე—720 სტუდ. საათი.

ქიმიურ ფაკულტეტზე—435 სტუდ. საათი.

ბიოლოგიურ ფაკულტეტზე—412 სტუდ.-საათი.

ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტზე—439 სტუდ.-საათი.

როგორც ვხედავთ გაცდენების „სარეკორდო ციფრებს“ გვაძლევს ეკონომიური და ლიტერატურული ფაკულტეტი. ცხადია, რომ სამუშაო საათების გაცდენა პროფესორ-ლექტორებისა და სტუდენტების მხრივ ხელს უშლის სასწავლო გეგმის შესრულებას.

უნივერსიტეტის პარტიულ-კომკავშირულმა, პროფესიონალურმა და სტუდენტთა ორგანიზაციებმა უნდა გაშალონ გადამწყვეტი ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სამუშაო დროის მაქსიმალურად შემჭიდროებისათვის, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ლიბერალურ დამოკიდებულებას ლექციების გამცდენი პროფესორ-ლექტორებსა და სტუდენტების მიმართ.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აღმოვფხვრათ გაცდენა-დაგვიანება და ბოლშევიკურ სიმაღლეზე ავიყვანოთ შრომის დისციპლინა სახ. უნივერსიტეტში.

შ. ძ.

ავანაზღაურებულ გაცდენილი საათები

საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სასწავლო წელს მომზადებულად შეხვდა ბოტანიკის, ზოოლოგიისა და გეოგრაფიის კათედრა. დროულად დამუშავდა და დაყვანილ იქნა თითოეულ სტუდენტამდის სასწავლო გეგმები და პროგრამები. მეცადინეობაც ყველა კურსზე ნორმალურად მიმდინარეობს შემდეგ საგნებში: ბოტანიკაში (თეორია და პრაქტიკა), ზოოლოგიაში და გერმანულში; მაგრამ ზოგიერთ საგნებში 8 ოქტომბრამდის სრულიად არ შემდგარა ლექციები, ეს საგნებია: **ეკონომიური პოლიტიკა (გაცდა 10 საათი), ანალიზი (გაცდა 8 საათი), გეოლოგია (გაცდა 6 ს.). აღნიშნული საგნების საათებში სტუდენტები ლექტორის მოლოდინში კარგავენ დროს.**

ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიექცეს, ანაზღაურებულ უნდა იქნას გაცდენილი საათები, რათა პროგრამით გათვალისწინებული მასალა დაძლეულ იქნას სტუდენტობის მიერ და მთლიანად შესრულდეს სასწავლო გეგმა.

ი. ოკუჯავა.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხ. კომიტეტში

საკ. პ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალური ინსტიტუტის შესახებ მიღებული დადგენილების თაობაზე

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა, რომელიც განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას **ნოვოჩერკასკის** ინდუსტრიალური ინსტიტუტის შესახებ, დაავალა რესპუბლიკების კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს დაამუშაონ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალური ინსტიტუტის შესახებ უმაღლეს ტექნიკური სასწავლებლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ინსტიტუტების ყველა პარტორგანიზაციაში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების დამუშავება უნდა დაუკავშირდეს უმაღლეს ტექნიკური სასწავლებლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ინსტიტუტების მუშაობის შემოწმებას; მიღებულ უნდა იქნას პრაქტიკული ღონისძიებანი სტუდენტობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობისა და კულტურულ-პოლიტიკური მომსახურების გადაჭრით გასაუმჯობესებლად.

რატომ გაცდა 10 საათი?

ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტთან არსებობს უცხო ენისა და ლიტერატურის სპეციალური სექცია. აღნიშნულ სექციაზე დარჩენილია მხოლო მე-3 და მე-4 კურსი (მხედველობაში არ გვაქვს ახლად გახსნილი სამწლიანი კურსები). მაგრამ აღნიშნულ კურსს ძალზე სუსტი ყურადღება ექცევა ფაკულტეტის მხრივ.

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უცხო ქვეყნების ლიტერატურის და უცხო ენების შესწავლას. მაგრამ თუ უცხო ენების მე-3 და მე-4 კურსზე ისე გაგრძელდა მუშაობა, როგორც დღემდის არის, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ.

აღნიშნულ კურსზე ადგილი აქვს სასწავლო საათების ხშირ გაცდენებს, განსაკუთრებით ენებში; ასე მაგალითად: გერმანულ ენაში 14 ოქტომბრამდის უნდა წაკითხულიყო 12 საათი, წაკითხულ იქნა—2 საათი; გაცდა 10 საათი (ლექტორი **ა. ჰეიშვილი**). ამასთან ერთად ადგილი აქვს ენის სწავლების შეუფასებლობას იმ მხრივ, რომ ჯერ ერთი—ენებისათვის გათვალისწინებულია მეტად მცირე რაოდენობის საათები, (4 საათი ექვსდღიურში), მეორე მხრივ—ეს საათები შეტანილია სამუშაო დღის უკანასკნელ საათებში, უმეტესად საღამოს 10—11 საათამდის. ეს ისეთი დროა, როცა სტუდენტობა მთელი დღის მუშაობის გამო დაღლილია და ამიტომ შეთვისების ხარისხიც დაბალია.

ჩვენ მოვითხოვთ **გადიდდეს საათების რაოდენობა უცხო ენებში, წაკითხულ იქნას ევროპის მე-17 მე-18 საუკ. ისტორია** და დამატებით ლიტერატურისმცოდნეობა.

მ. დავითაშვილი

თუ სასადილოა სასადილო იყოს

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მეცნიერების მუშაკთა სასადილოს გახსნით დიდი საქმე გააკეთა. მაგრამ დახე უბედურებას, სასადილოს ზოგიერთი მუშაკები აშკარად ვერ ამართლებენ იმედს.

ამის უშუალო მიზეზად მიგვაჩნია სასადილოს გამგის **ჯოხაძის** სუსტი მუშაობა. ჯერ ერთი, ჯოხაძეს ვერ ნახავთ სასადილოში, მეორე, მისი ინიციატივით შექმნილა ჩეკების გაცემის ისეთი სისტემა, რაც თვითეულ მოსადილეს აკარგვინებს ერთ საათზე მეტს.

საქმე იმაშია, რომ ჩეკების გამოწერა დავალებული აქვს სადილების ერთ-ერთ ძიმტანს. ის ყველა მოსადილეს ერთდროულად ვერ წვდება და მოსადილეები მას უკან დასდევენ. ამის გამო იქმნება საშინელი ქაოსი, ხმაური და მთელი უწესრიგობა. ჩეკიც რომ იყიდო სადილის მოტანას უნდა ელოდო ნახევარ საათზე მეტი. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოლოდინში, სადილები სრულებით თავდება და ბევრი რჩება უსადილოდ. ნორმალურად სადილების გაცემის დრო განსაზღვრული საათების განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს. ამ სასადილოშიც თითქოს ასეა. სადილების გაცემა იწყება 3-დან 5 საათამდე. მაგრამ რა? თუ ცოტა დაიგვიანეთ და, 3 საათის ნაცვლად მოდით 4 საათზე „სადილები უკვე გათავდა“-ო გაიგებთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ ყველაფერი გამგის „ფოკუსებია“. თუ სასადილოა სასადილი იყოს. თუ არა და დროს ტყვილა ნუ გვაკარგვინებთ. რაც შეეხება სასადილოს გამგეს ამ არევდარევისათვის მას პასუხი უნდა მოეთხოვოს.

მოსადილე.

საკ. კ. პ(ბ) ც. კ-ის
დადგენილება
ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალური ინსტიტუტის შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ იმ ზომების შედეგად, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის გასაუმჯობესებლად (გადაწყვეტილებანი სკოლის, სტიპენდიებისა და საერთო საცხოვრებლების, საზოგადოებრივი დატვირთვის, ღირექტორთა როლის და ავტორიტეტის გაძლიერების და სხვ. შესახებ) მიღწეულია მთელი რიგი წარმატებები სწავლების დაყენების საქმეში, სასწავლო დისციპლინის განმტკიცებისა და მოსწავლეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის და კულტურულ-პოლიტიკური მომსახურების გაუმჯობესების სფეროში.

ამასთან ერთად ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ბოლო დროს ზოგიერთმა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ საგრძნობლად შეასუსტა თავისი ყურადღება სტუდენტების ყოფაცხოვრების საკითხებისადმი.

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალური ინსტიტუტის გამოკვლევის დროს, რაც ჩაატარეს საკ. კ. პ. (ბ) სამრეწველო განყოფილებამ და პარტიული კონტროლის კომისიის რწმუნებულმა აზოვ-შავიზღვის მხარეში.

ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალურ ინსტიტუტში ელემენტარულ მზრუნველობასაც კი არ იჩენენ სტუდენტთა საჭიროებებზე. საერთო საცხოვრებლები განსაკუთრებით **უმსგავსო მდგომარეობაშია**, შეუკეთებელი და მოუწყობელია, ჩამტვრეული მინების ჩასმა თვეობით ჭიანურდება, **არ არის პირსაბანები**, არ არსებობს მინიმალური ელემენტარული პირობები სტუდენტთა მუშაობისა და დასვენებისათვის.

არ არის მოწყობილი მასობრივი აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტებს შორის. არც ერთ საერთო საცხოვრებელში, ისე როგორც თვით ინსტიტუტშიაც, არ მოიპოება მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოთეკა. ინსტიტუტში, სადაც სწავლობს 2.000-ზე მეტი სტუდენტი, არაფერი არ კეთდება იმისათვის, რომ კულტურულად მოაწყონ სტუდენტთა დასვენება, მოაწყონ სპორტი.

ამის შედეგად ცალკეულ სტუდენტებს შორის თავი იჩინა ავადმყოფურმა მოვლენებმა (ლოთობა, საყოფაცხოვრებო გახრწნა და სხვ.).

საკ. კ. პ. [ბ] ცენტრალური კომიტეტი სთვლის, რომ ასეთი მდგომარეობა ინსტიტუტში შეიქმნა იმიტომ, რომ ინსტიტუტის დირექტორმა პარშიკოვმა ვერ შეიგნო სტუდენტური ახალგაზრდობის აღზრდის პასუხისმგებლობა და სირთულე. პარშიკოვს არ აინტერესებდა სტუდენტთა ყოფა-ცხოვრება, იგი არ ამოწმებდა საერთო საცხოვრებლების მდგომარეობას, ფორმალურად ეკიდებოდა სტუდენტთა კანონიერ საჩივრებს, სტიპენდიებს ართმევდა სტუდენტებს ისე, რომ არ არკვევდა სწავლაში მათი ჩამორჩენის მიზეზებს, პარშიკოვმა ინსტიტუტში ვერ შექმნა ისეთი პირობები, რომ თვითეულ სტუდენტს შეეძლოს მივიდეს მასთან თავისი სწავლის და ყოფა-ცხოვრების მტკივნეული საკითხების გადასაჭრელად.

მხოლოდ ინსტიტუტის ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის დროს შეიძლება ადგილი ქონოდა ისეთ აღმაშფოთებელ შემთხვევებს, როცა დირექტორის მოადგილე ადმინისტრატიულ-სამეურნეო ნაწილში კოლოვიკი თავის კაბინეტიდან აძევებდა სტუდენტებს, რომელნიც მას მიმართავდენ თავის საყოფაცხოვრებო საკითხებზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მთელი ეს უმსგავსოება დარჩა ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ყურადღების გარეშე, ხოლო პარტკომის მდივანმა გრეჩკომ ვერ შესძლო ყოველდღიური ბოლშევიკური პარტიულ-მასობრივი მუშაობის მოწყობა სტუდენტთა შორის და არავითარ ბრძოლას არ აწარმოებდა სტუდენტთა მოთხოვნილებისადმი არაგულისხმიერი და უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებთან.

საკ. კ. პ. (ბ) აზოვ-შავიზღვის სამხარეო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილებას (რიაბოკინი) და ნოვოჩერკასკის რაიკომს (ლიაშჩენკო) მხედველობიდან გამოეპარათ პარტიულ-მასობრივი მუშაობის ჩაშლა ინსტიტუტში, ისინი არ ამოწმებდენ სტუდენტთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ-პოლიტიკური მომსახურების მდგომარეობას და ხელმძღვანელ სამუშაოზე ინსტიტუტში აგზავნიდენ უვარგის და შემთხვევით ადამიანებს (ვოლოვიკი. რულევი).

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სასწავლებელთა მთავარ სამმართველოს უფროსმა ამხ. პეტროვსკიმ ჩაატარა მთელი რიგი ინსტიტუტების ფორმალური გაერთიანება ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალურ ინსტიტუტში, ვერ უზრუნველყო ინსტიტუტი კვალიფიციური ხელმძღვანელი კადრებით, ვერ მოამზადა საჭირო მატერიალური ბაზა და არ ანხორციელებდა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ერთერთი უდიდესი სასწავლებლის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი ადგენს:

1. სტუდენტთა ყოველდღიური საჭიროებისადმი უსულგულო დამოკიდებულებისა და თავის გაბიუროკრატებულ და გახრწნილ თანაშემწეთა მუშაობისადმი კონტროლის სრულიად გაუწევლობისათვის მოიხსნას სამუშაოდან ინსტიტუტის დირექტორი პარშიკოვი.

2. სტუდენტთა შორის ავადმყოფურ მოვლენებთან ბრძოლის გაჩაღებაში უნარის გამოუჩენლობისა და ინსტიტუტში მასობრივი აღმზრდელობითი მუშაობის გაუწევლობისათვის მოიხსნას სამუშაოდან პარტკომის მდივანი გრეჩკო.

3. პარტიიდან გამორიცხული ვოლოვიკი (დირექტორის მოადგილე სამეურნეო ნაწილში) და რულევი (საერთო ხაცხვრებელთა მმართველა) ინსტიტუტის მეურნეობის ჩაშლისა და საერთო საცხოვრებელთა უმსგავსო მდგომარეობისათვის სამართალში იქნან მიცემული.

4. წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს შეუდგეს ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელთა რემონტს და მოწყობას და მოამზადოს ისინი ზამთრისათვის.

5. დაევალოს საკ. კ. პ. (ბ) აზოვ-შავიზღვის სამხარეო კომიტეტს განამტკიცოს ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის და კომკავშირის ხელმძღვანელობა.

6. გაიგზავნოს ნოვოჩერკასკში მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სასწავლებელთა მთავარ სამმართველოს უფროსი ამხ. პეტროვსკი სასწავლო წლის ნორმალური გაშლისათვის ადგილობრივ საჭირო ზომების მისაღებად.

* * *

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების და ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალურ ინსტიტუტში გამოაშკარავებულ ავადმყოფურ მოვლენებს ვხვდებით სხვა ინსტიტუტებშიც (სტალინგრადის მექანიკურ, ვიატკის ზოოვეტერინალურ, ოდესის სასოფლო-სამეურნეო და სხვა ინსტიტუტებში).

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების და ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების წინაშე, პირველ რიგში კი სამრეწველო სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო და კულტპროპგანყოფილებათა წინაშე, აყენებს ამოცანას—გადაჭრით გააძლიერონ ყურადღება სტუდენტების მატერიალურ და კულტურულ პოლიტიკური მომსახურების' სასწავლო დისციპლინის გამტკიცების, ხელმძღვანელი კადრების შერჩევის და მათი მუშაობის სისტემატური შემოწმების საკითხებისადმი და უზრუნველყონ სასწავლებელთა დირექტორების როლისა და ავტორიტეტის ამაღლება.

გაჯავრებულია და არ ალაპარაკებს

(სტუდენტთა ქალაქი)

საერთო საცხოვრებლებში ჯერ კიდევ არ არის დაცული სისუფთავე. მე-8 კორპუსის მეორე სართულზე გაფუჭებულია საპირფარეშო, რომელიც მყრალ სუნს უშვებს. რას აკეთებს დამლაგებელი? ის „გაჯავრებულია“ თურმე სტუდენტებზე და ამიტომ არ წმენდს საპირფარეშოებსა და ოთახებს.

ცუდ მდგომარეობაშია პირსაბნები. 8 კორპუსის II სართულის პირსაბანში ყრია ჯოხები. რომლებიც წყალს აჩერებს და პირსაბანს აფუჭებს, მაგრამ გაწმენდაზე არავინ ფიქრობს. გასულ წელს ყველა ოთახში ჰქონიათ საწმენდი ტილოები, წელს კი თითქმის არც ერთ ოთახში არ არის ასეთები (7 კორპუსის 46, 40 და 24; 8 კორპ. 15, 17, 24 და 54 ოთახებში), თუ არის სადმე, ისიც დახეულია (7 კორპ. 56 ოთახში და სხვაგან). ბევრ ოთახებში ჩამტვრეულია მინები (8 კორპუსის 4 ოთ; 7 კორპ. 36 ოთახ. და 6 კორპუსის 44 და 31 ოთახებში). რას ფიქრობს სტუდ. ქალაქის სამმართველო? ზოგ ოთახში აკლიათ ტახტებიც (7 კორპ. 50 ოთახ. და 8 კორპ. 15 ოთახში), რის გამო ერთ ტახტზე ორი სტუდენტი წვება, ზოგან კიდევ ტახტები გატეხილია და გაფუჭებული (8 კორპ. 17 ოთახი).

ძალიან სივიწროვეა ოთახებში. პატარა ოთახში 7—8 კაცი ცხოვრობს. ერთ საზიზღარ მოვლენასაც ჰქონდა ადგილი. 10 ოქტომბერს 7 მეტრი საკაბე მატერია მოჰპარეს სტუდ. **ელ. მიქელაშვილს** და 10 მან. ფული სტუდ. **გურგენიძეს**. იმ წუთში ეს ამბავი ეცნობა კომენდატურას, მაგრამ ზომები არ ყოფილა მიღებული.

უფრო მეტი მზრუნველობა და ყურადღება სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებს, რათა ისინი გადაგაქციოთ ნამდვილი კულტურულ ყოფა-ცხოვრების კერად.

კ. დევიძე

სისუფთავე ჯანმრთელობის საწინდარია

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობები, გაიზარდა სტიპენდიების რაოდენობა და სტიპენდიანტთა რიცხვი, გაუმჯობესდა სტუდენტთა მდგომარეობა საერთო საცხოვრებლებში და სხვ.

მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ თვალსაჩინო ნაკლულოვანებებს აქვს ადგილი.

აღვნიშნოთ ზოგიერთი ფაქტი:

1. საერთო საცხოვრებელში უსუფთაობაა, არ არის საკმაოდ მოგვარებული ჰიგიენური პირობები, არ ხდება სისტემატური დასუფთავება კორპუსებისა, აივნებისა, საპირფარეშოებისა. მაგ. ოქტომბრის 11 საშინელი უსუფთაობა იყო მე-7 კორპუსის საპირფარეშოში. უსუფთაოდ არის აგრეთვე მე-8 კორპუსის საპირფარეშო. სტუდენტებს არა აქვთ ტაშტები, რის გამო ვერ ხერხდება საღამოობით ფეხის დაბანა, სისტემატურად არ არის კორპუსებში წყალი, ოთახებს არა აქვს მოწყობილი ტანსაცმელის საკიდი, მაგიდებს არაფერი აქვთ გადაფარებული და სხვ.

2. კორპუსებში ღამის 1-ლ საათამდის აურზაური და ხმაურობაა. კომენდანტი ამ მდგომარეობას არ აქცევს ყურადღებას. არ არის დაცული დასვენების ნორმები.

3. კორპუსებში (6—7—8) სუსტადაა დაყენებული სტუდენტთა კულტმომსახურეობა: არ არის რადიო, სამკითხველოში სისტემატურად არ მოდის გაზეთები. აქ იშვიათად შეხვდებით ცენტრალურ გაზეთებს: „პრავდას“, „იზვესტიას“, „სალიტერატურო გაზეთზე“ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დეკადაში ორჯერ მაინც უნდა იყოს ნაჩვენები კინო სურათი. სინამდვილეში კი წელს მხოლოდ ერთხელ (ოქტომბერში) მოხერხდა კინო სურათის ჩვენება, ისიც გარეთ მაყურებელი სტუდენტები ფეხზე იდგენ ტალახში, მოედანზე კი სულ 6 სკამი იდგა.

4. არ ექცევა სათანადო ყურადღება ფიზკულტურულ აღზრდას: არ არის მოედანი ფრენბურთისთვის, არც მისთვის საჭირო მოწყობილობა; დილით არ წარმოებს ფიზკულტურული ვარჯიში.

5. მოუგვარებელია სტუდენტთა ქალაქის სასადილოს მუშაობაც. არ არის სადილები საკმაო რაოდენობით, ადგილი აქვს უსუფთაობას, სასადილოში იქმნება დიდი რიგები.

სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ყოველგვარი შესაძლებლობა იმისათვის, რომ არსებული დეფექტები დროზე იქნას აღმოფხვრილი.

ს. ჭილაია

სასადილოა თუ „ბრძოლის ველი“?

სტუდენტთა ქალაქის სასადილოში დღემდის მოუგვარებელია სადილების წესიერად გაცემის საქმე.

სასადილოში მოწყობილია ჩაის მექანიკური ამდუღებელი მანქანა, აგრეთვე მექანიკურად არის მოწყობილი საჭმლის დამამზადებელი ქვაბები, საკმარისია სასადილოს დარბაზები სტუდენტთა რაოდენობისათვის, სასადილოს აქვს 4 ჩეკების გასასყიდი სალარო და სხვ. მიუხედავად ამისა სადილის გაცემის საქმე დღემდის კიდევ მოუგვარებელია, რაც უნდა მიეწეროს სასადილოს ხელმძღვანელი ამხანაგების დაუდევრობას. ვალაპარაკოთ ფაქტები:

სასადილოში სადილის გაცემას იწყებენ დღის 1-ლ საათზე მაშინ, როცა სტუდენტობის უმრავლესობა ლექციებზეა, 2-3 საათზე ლექციებიდან დაბრუნებული სტუდენტები კი უსადილოდ რჩებიან.

სასადილოში შემოღებულია აბონემენტების სისტემა, რაც იმას გულისხმობს, რომ რამდენიც აბონემენტია გაცემული, იმდენი სადილი უნდა დამზადდეს. სინამდვილეში კი 2-3 საათზე აბონემენტიანი სტუდენტებისათვის სადილი არ არის. აბონემენტის სისტემა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

სასადილოში ადგილი აქვს უსუფთაობას, რაც უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ ერთი სტუდენტის მიერ უკვე ნახმარ ჩანგალს და კოვზს უბრალოდ ტილოს გასმის შემდეგ გაურეცხავად აძლევენ მეორე მოსადილე სტუდენტს; ჭიქების და წყლის დოქების გარეცხვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

მიუხედავად იმისა, რომ სასადილოს 4 სალარო აქვს, მოუწესრიგებლობისა და უთავბოლობის გამო დიდი რიგები იქმნება.

მომტანი ქალების უვარგისობით და უთავბოლო მუშაობით ბევრჯელ ყოფილა გამოწვეული შელაპარაკება და აურზაური.

ყველაფრის ამის შესახებ რომ სასადილოს დარბაზების გამგეს ამხ. **ჭაჭანიძეს** მოახსენოთ, ის გიპასუხებთ: **„რა ჩემი საქმეა“**, დაბრძანდით და **სადილს მოგიტანენო**. დაჯდები..... მაგრამ, რომ იჯდე ოთხი საათი, კაცი ყურადღებას არ მოგაქცევს, თუ ცოტათი **„თავი არ გამოიჩინე“** და არ იყვირე. ერთი სიტყვით სადილობა მხოლოდ დიდი ბრძოლის შედეგათ შეიძლება.

სასადილოს აქვს შესაძლებლობა სტუდენტებს მიაწოდოს დილით ჩაი, მაგრამ ნაცვლად ამისა ჩაის ადუღებას იწყებენ 8 საათზე და გაცემას კი 9 საათზე, როცა უკვე თითქმის ყველა სტუდენტი ლექციებზეა, სამხედრო ფიზკულტურულ ვარჯიშობაზე ადრე მიმავალ სტუდენტებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

სტუდენტთა ქალაქის სასადილოს გააჩნია ყოველგვარი ობიექტური პირობები იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნენ სტუდენტები წესიერად, როგორც საუზმით, ისე სადილითა და ვახშმით. მაგრამ ამ არსებულ პირობებს სასადილოს ხელმძღვანელი ამხანაგები ვერ იყენებენ.

კვების მუშაკებად საჭიროა უფრო ცოცხალი ადამიანები.

ი. ცანავა.

№ 11

მოვუსმინოთ სახუნივერსიტეტის საბჭოს დეპუტატებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლებოდა მეტის გაკეთება

პროფ. შ. ნუცუბიძე

მე მიმაგრებული ვიყავი განათლების სექციაზე. სადეპუტატო მუშაობის დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებით და მუშაობის ცენტრის თვით საწარმოოსთან-ამ შემთხვევაში უნივსრსიტეტთან დაკავშირებით, ჩვენი მუშაობაც გაიშალა ადგილობრივ. მე პირადად შევდიოდი ადგილობრივ სადეპუტატო ჯგუფის ხელმძღვანელ ორგანოში, ვიყავი თავმჯდომარის მოადგილედ, რამდენჯერმე დამევალა საერთო კრებაზე მოხსენებით გამოსვლა უნივერსიტეტის შინაგან საქმიანობასთან დაკავშირებით რაც კიდეც შევასრულე.

როდესაც სტუდენტობის მდგომარეობისა და მათი ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კამპანია გაიმართა, მე გამოყოფილი ვიყავი ამ კომისიაში და მონაწილეობას ვიღებდი, როგორც გამოკვლევაში, ისე კომისიის სხდომებსა და მუშაობაში.

ასევე ჩავატარეთ ფინანსური რესურსების მობილზაციის კამპანია, მე დამევალა მეცნიერ თანამშრომელთა საერთო სხდომასა და აგრეთვე, ჩვენი დადგენილების გამო, ტფილისის საბჭოს გაერთიანებულ საჯარო სხდომაზე გამოსვლა. ვიღებდი მონაწილეობას კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში. ვფიქრობ შეიძლებოდა მეტის გაკეთება, რომ არ ვყოფილიყავი მეტად დატვირთული აკადემიური მუშაობით.

მუშაობა დავიწყე 1932 წლიდან

ალ. გოგოლაშვილი

საბჭოს ხაზით მუშაობა დავიწყე 1932 წელს (1932 წელში ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციის მიერ გადარიცხული ვიქენი დეპ. საბჭოს აქტივში). 1932 წლიდან სისტემატურად ვესწრები საბჭოს სხდომებს, ვიღებ მონაწილეობას სხდომებზე საკითხების განხილვაში. 1932 წელს მომცეს დავალება (აქტივთან ერთად) გამომერკვია სტუდენტთა ქალაქში სტუდენტების ყოფა-ცხოვრება, რაც მე შევასრულე და გამორკვევის ყოველგვარი საბუთები წარვუდგინე დეპ. ჯგუფს.

დეპ. ჯგუფის მიერ გაგზავნილი ვიყავი ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოში კერძო მცხოვრებლებში ობლიგაციების გასანაღდებლად, რაზედაც სამი დღის განმავლობაში ვმუშაობდი და დავალება შესრულებულ იქნა მოცემული ლიმიტის მიხედვით.

1933 წელს პარტკომისა და დეპ. საბჭოს დავალებით გამოვარკვიე უნივერსიტეტთან არსებული დახურული განმანაწილებელი.

1934 წლის იანვარში საბჭოს პესიერი წევრებიდან, როგორც საბჭოს დავალების სისტემატურად შემსრულებელი, გადამიყვანეს რაისაბჭოს წევრად, სადაც მუშაობა დავიწყე 1934 წლის თებერვალში, ამავე დროს შეყვანილ ვიქენი უნივერსიტეტის საბჭოს სადეპუტატო ჯგუფის ბიუროში, სადაც დამევალა დეპ. ჯგუფის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეობა.

ვირიცხები ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს განათლების სექციის წევრად. სისტემატურად ვესწრები აღნიშნულ სექციის სხდომებს. სექციის მიერ მიმაგრებული ვიყავი ერთერთ შრომის სკოლაზე (ჯავჯავაძის ქუჩა 10 №-ში). ახალი სასწავლო წლის მზადებასთან დაკავშირებით ჩატარებული მუშაობის შესახებ შევადგინე წერილობითი მოხსენება, რომელიც ჩაბარებული აქვს განათლების განყოფილებას.

ამჟამად ვმუშაობ საბჭოს საგადარჩევო კამპანიასთან დაკავშირებით ტფილისის სახ. უნივერსიტეტთან არსებული საბჭოს სადეპუტატო ჯგუფის ბიუროში.

ვმუშაობ საფინანსო სექციაში

მ. გაგბისონია

საბჭოს წევრად ამირჩიეს 1931 წელს. დღიდან არჩევისა ვმუშაობ ტფილისის საბჭოს საფინანსო სექციაში.

1. ვესწრებოდი სექციის სხდომებსა და პლენუმს.

2. ვიყავი სექციის საგეგმო ჯგუფის ხელმძღვანელი, ვმუშაობდი ფინრესურსების მობილზაციის ხაზით სხვადასხვა ბრიგადაში (სექციის დავალებით) ტფილისის ფარგლებში.

3. ვიყავი მიმაგრებული სტალინის რაისაბჭოს საფინანსო განყოფილებაზე 33 წლის შემოდგომაზე (ვმუშაობდი ბრიგადაში კერძო სექტორის ძველი დავალიხნების ამოღების ხაზით.).

4. 33 წელს ვმუშაობდი აგრეთვე დაწესებულებისა ⁄ ორგანიზაციების ხაზით. ინდ. სესხის ობლიგაციებზე ხელის მოწერის ჩატარების შესამოწმებლად.

5. 1934 წელს (აპრილი—მაისი) ვმუშაობდი ბრიგადის ხელმძღვანელად ორჯონიკიძის რაისაბჭოს საფინანსო განყოფილებაში. მიმაგრებული ვიყავი კულტ. და საშემოსავლო გადასახადის თავის დროზე შეტანის შესამოწმებლად: 1 უნივერსიტეტსა და მის დახურულ განმანაწილებელზე, 2. სამედიცინო ინსტიტუტსა და მის დახურულ განმანაწილებელზე, 3. სტალინის ინსტიტუტზე და სხვ.

ასეთია მოკლედ ჩემი მუშაობა ტფ. საბჭოს საფ. სექციაში.

რა არის ჩემი მუშაობის ნაკლი

პროფ. გ. თავზარაშვილი (თავზიშვილი)

მე, როგორც ქალაქის მე-4 ორჯონიკიძის სახელობის სარაიონო საბჭოს განათლების სექციის ბიუროს წევრს, მუშაობა მიხდებოდა ამ რაიონის ზოგიერთი სკოლის „ძირითადი ნაკლის“ აღმოსაფხვრელად, ს. კ. პ. (ბ) ც.—კ. 1931 წლ. 5 სექტემბრისა და 1932 წლ. 25 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე. ამ ამოცანის შესასრულებლად ვღებულობდი მონაწილეობას სკოლების სასწავლო მეთოდოლოგიური მუშაობის შემოწმებაში და ამ შემოწმებათა შედეგების დამუშავებაში. სკოლებიდან მიღებული კონკრეტული მასალების საფუძველზე ორჯერ გავაკეთე სათანადო მოხსენება რაიონის მასწავლებელთათვის.

კარლ-მარქსის გარდაცვალებიდან 50 წლის თავის აღსანიშნავად, ჩვენი რაიონის განათლების განყოფილების დავალებით, ჩავატარე მოხსენება—საუბარი ამ რაიონის მასწავლებლებთან.

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სექციის ბიურომ დამავალა მეწარმოებია მასწავლებლებთან სათანადო კონსულტაცია პედაგოგიური პროცესის სხვადასხვა საკითხებზე, განსაკუთრებით კი პოლიტექნიზმისა და მეთოდიკის დარგში. ასეთი კონსულტაციები ჩემს მიერ რეგულარულად ტარდებოდა და ეხლაც ვატარებ.

ჩემი მუშაობის ნაკლად მიმაჩნია ის, რომ იშვიათად დავდიოდი (დროის უქონლობის გამოს) საბჭოს სხდომებზე და აგრეთვე ვერ ვღებულობდი აქტიურ მონაწილეობას განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის მუშაობაში, რომელზეც მე ვიყავი მიმაგრებული სექციის მიერ.

ჯილდო აქტიურ მუშაოგისათვის

სტუდ. მ. შარუხია

1931 წლიდან ვარ ორჯონიკიძის რაისაბჭოს საფინანსო სექციის ბიუროსა და სახ. უნივერსიტეტის ბიუროს წევრი. მე, როგორც დეპუტატი, ვასრულებდი შემდეგ მუშაობას:

1. სისტემატურად ვასრულებდი როგორც საფინანსო სექციის ბიუროს, ისე ადგილობრივ დეპ. ჯგუფის მიერ მოცემულ ყოველგვარ დავალებებს.

კერძოდ საბჭოს საფინგანის ხაზით მქონდა მოცემული გამოსარკვევად რამდენიმე წარმოება-დაწესებულება, თუ როგორ მიმდინარეობდა იქ ფულადი სახსრების მობილზაცია. გამორკვევის მასალები წარვადგინე საფინგანში, გამოვარკვიე რამდენსამე წარმოებაში სესხის დამხმარე კომისიის მუშაობა, შევამოწმე პასივი საბჭოს წევრების მუშაობა ორჯონიკიძის რაიონის მაშტაბით, რის შედეგებიც ვაცნობე პრეზიდიუმს და სხვ.

აქტიური მუშაობისათვის ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს საფ. სექციამ დამაჯილდოვა ფულით. ორჯერ მადლობა გამომიცხადა სახ. უნივერსიტეტის დეპ. ჯგუფმა.

შემოწმების შედეგები

ისტორიულ - ლიტერატურულმა ფაკულტეტმა 1933-34 სასწავლო წელს მიიღო საშუალო ნიშანი 4,1, ამ უდიდეს წარმატებას ფაკულტეტმა მიაღწია სოც. შეჯიბრება—დამკვრელობის სწორი ორგანიზაციის და მისი ფართოდ გაშლის საფუძველზე. აწარმოა რა ნაკისრ ვალდებულებათა სისტემატური კონტროლი და შემოწმება, ფაკულტეტმა მიიღო სემესტრის ბოლოს შემდეგი მაჩვენებლები: სოც. შეჯიბრებაში ჩაბმული იყო სტუდენტთა 100 პრ., დამკვრელობაში 59,2 პრ. შემოწმების შედეგად დამკვრელობას ამართლებს 61,1 პრ. სოც. შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს ამართლებს 93,2 პროც.

შემოწმებულ იქნა 17 აკადემიური ჯგუფი, ამათგან 9 ჯგუფი ჩაბმული იყო დამკვრელობაში—8 ჯგუფი კი სოც. შეჯიბრებაში. შემოწმების მასალების მიხედვით პირველობა დაიკავეს: **ფილოსოფიურმა** (მე-3 კურსზე, საშუალო ნიშანი 4,5, პარტორგი **ლ. ცინცაძე**) **ისტორიულმა** მე-2 კ. საშ. ნიშანი 4,1; პარტ.-ორგი **დ. მეგრელიშვილი**) და **რუსულმა** ბ ჯგუფმა. ფაკულტეტს ჰყავს საუკეთესო დამკვრელი სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ „ფრიადებზე“, „კარგებზე“ და აკადემიურ წარმატებასთან ათავსებენ საზოგადოებრივ მუშაობასაც. ასეთებია: **ცინცაძე ლუკა, გვიშიანი გიორგი, ამიროვი გრიგოლი, მაღარაძე შალვა, სიჭინავა ვარლამი, კალანდარიშვილი შალვა, კირიხოლი ჰუსეინი, წერედიანი ბესარიონი, შარაშენიძე იოსება, მეგრელიშვილი დანიელი, გვათუა ნინო, გამსახურდია გრიგოლი, მდივნიშვილი მარო** და სხვ.

შემოწმებამ გამოაშკარავა აგრეთვე ისეთი სტუდენტები, რომლებიც ვერ ამართლებენ სოც. შეჯიბრება—დამკვრელობას. ასეთებია: **ქავჟარაძე დარეჯანი, სმირნოვი სონია, ნაცვლიშვილი მარიამი, ხატიაშვილი ვლადიმერი, ლალიევი ლუსია** და სხვ.

ჩვენი მუშაობის მთავარი ნაკლი გასულ წელს მდგომარეობდა იმაში, რომ არ გვყავდა ადგილებზე (ცალკეულ აკადემიურ ჯგუფებში) სოც. შეჯიბრება—დამკვრელობის სპეციალური აღმრიცხველი ბრიგადები, რის შედეგად შემოწმება კამპანიურსა და ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

ამჟამად ფაკულტეტზე მიმდინარეობს სოც. შეჯიბრება—დამკვრელობის ხელახალი გაშლა.

ვ. შამუგია.
პ. კეკელიძე.

ოპერატიულობა მუშაობაში

ვ. კალანდარიშვილი

მე-17 პარტყრილობის ისტორიული გადაწყვეტილება პარტიული პროფკავშირული და საბჭ. ორგანოების მუშაობის გარდაქმნის შესახებ, ავალებს თითოეულ ჩვენგანს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, მეტ ოპერატიულობასა და კონკრეტულობას მუშაობაში. საბჭოს თითოეული დეპუტატი უნდა გრძნობდეს ამას, მას უნდა ჰქონდეს კონკრეტული გეგმა იმ ამოცანებიდან გამომდინარე ვალდებულების სახით, რომლებიც დასახულია ტფილისის საბჭოსა თუ რაისაბჭოების წინაშე.

მქონდა რა გათვალისწინებული ყველაფერი ეს ჩემს მუშაობაში, როგორც დეპუტატმა შევასრულე: ორჯონიკიძის რაისაბჭოსა და ამავე რაიონის 4 სადეპ. ბიუროსაგან პერიოდულად ვღებულობდი სხვადასხვა დავალებებს; მაგ. მივიღე მონაწილეობა (ბრიგადირის სახით) კულტ. ლაშქრობაში რაიონის მაშტაბით, ვაწარმოებდი მუმუშაობას სახანძრო ერთთვიურში, სადაც პირადად შევამოწმე 17 სახლი და მათი მუშაობა. მიმაგრებული ვიყავი (და ვარ ამჟამადაც) სამხედრო ქუჩაზე № 6, 5, 11, 13 და 20 სახლებზე მუდმივი კონტროლისა და მეთვალყურეობისათვის. სისტემატურად ვასრულებდი უნივვრსიტეტის დეპ. ჯგუფის დავალებებს, ვესწრებოდი რაიონისა და ტფილისის საბჭოს პლენუმს.

მიუხედავად ამისა ჩემს მუშაობას მაინც ახლავს ნაკლი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ვერ ვუწევ სისტემატურ კონტროლს ჩემს მიერ აღებულ ვალდებულებების შესრულებას, არ ვაწარმოებდი მკვეთრ კრიტიკას დეპ. ჯგუფის მუშაობის სუსტი მხარეების გამოსწორებისათვის, სუსტად მაქვს გაშლილი მუშაობა სტუდენტთა შორის საბჭოს როლისა და ამოცანების შესახებ და სხვ.

ორი მეცადინეობის შემდეგ

უკვე ჩატარდა პარტ.-პოლიტ-სკოლების ორი მეცადინეობა, პირველი 10 ოქტომბერს, ხოლო მეორე 16 ოქტომბერს.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ მეცადინეობაზე (10 ოქტომბერს) მსმენელთა და პროპაგანდისტთა დასწრება არ იყო დამაკმაყოფილებული. მსმენელთა საშუალო დასწრება უდრიდა 77 პროც. ზოგიერთი ფაკულტეტის პარტორგანიზატორებმა ადრე გაშალეს მუშაობა და უზრუნველყვეს დასწრების მაღალი პროცენტი. ასე მაგალითად: ისტორიული ფაკულტეტის დასწრება უდრიდა 91 პროც., გეოგრაფიული ფაკ.—83 პროც. დასწრების დაბალი პროცენტი მოგვცა ეკონომიურმა ფაკულტეტმა (55 პროც.) და ბიოლოგიურმა (58 პროც.) არ გამოცხადებულა მეცადინეობაზე პროპაგანდისტი **დ. ცხაკაია.**

დასწრების მხრივ უკეთესი მაჩვენებლები მოგვცა მეორე მეცადინეობამ (16 ოქტომბერს). არ ჩაშლილა მუშაობა არც ერთ პარტ-პოლიტწრეში, არ ჰქონია ადგილი დაგვიანება-გაცდენას არც ერთი პროპაგანდისტის მიერ. მსმენელთა დასწრება საშუალოდ უდრიდა 83 პროცენტს. პროპაგანდისტების მიერ ჩატარებულ იქნა პირველ მეცადინეობაზე დამუშავებული მასალის შეთვისების შემოწმება. უნივერსიტეტის პარტკაბინეტში ტარდება პროპ.-სემინარი. პარტ. პოლიტ. სკოლები მომარაგებულია სახელმძღვანელო ლიტერატურით. ამ მხრივ პოლიტსკოლების მუშაობას არ აქვს დაბრკოლება.

მთავარია პოლიტმეცადინეობაზე მსმენელთა ასი პროცენტით დასწრების უზრუნველყოფა და პარტსწავლების ხარისხის ამაღლება.

პარტორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ მსმენელთა დასწრების უზრუნველსაყოფად. დასწრების საქმეში მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ **პარტორგანიზატორებს.** პარტსწავლების ხარისხის საკითხს წყვეტს **პროპაგანდისტი.** ამიტომ საჭიროა პროპაგანდისტები სისტემატურად დაესწრონ პროპ. სემინარს და ღრმად მომზადებული შეჰხვდნენ პოლიტსწავლების დღეს.

ბრძოლა თითოეული კომუნისტის მარქსისტულ—ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის უნდა იდგეს უნივერსიტეტის პარტორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

შ. კაპანაძე

დასხდენ და ოქმი დასწერეს...

ზოგიერთი ჯგუფის სამკუთხედები იმდენად გაიტაცა კრებებმა, რომ სამეცნიერო საათებსაც კი კრებებს უთმობენ. ასე მაგალითად: **ეკონომიური ფაკულტეტის საგგმო—ეკონომიური** სექციის № 42 ჯგუფის სამკუთხედი ხშირად იწვევს კრებებს სამეცადინო დროს.

19 ოქტომბერს სამკუთხედმა ჩაატარა ჯგუფის კრება იმ დროს, როდესაც ლექცია უნდა შემდგარიყო რუსულ ენაში. კრება გაგრძელდა 2 საათს.

ჯგუფის პარტორგი **გ. რუხაძე** და ჯგუფხელი **თოლორდავა** გულმოდგინედ მოითხოვდენ კრების გაგრძელებას და სრულებით არ გრძნობდენ პასუხისმგებლობას რუსული ენის ლექციის ჩაშლისათვის. კრებებით გატაცების პრაქტიკა ჯგუფის სამკუთხედების მუშაობაში უნდა აღმოიფხვრას.

ხშირად სამკუთხედს საკითხი მოუმზადებლად გადააქვს ჯგუფში და მას ფორმალურად ატარებს. მაგ. ამავე № 42 ჯგ. სამკუთხედმა რუსული ენის დაუფლების შესახებ ჩატარებული მოხსენების ირგვლივ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: **„მიღებულ იქნას მოხსენება ცნობად და სახელმძღვანელოდ, რუსული ენის კათედრის მიერ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე სამკუთხედმა შეადგინოს სოც. შეჯიბრების ობიექტიები და გადაუგზავნოს რომელსამე ჯგუფს“.** ასეთი ფორმალიზმი და ყალბობა ჯფუფის სამკუთხედის მუშაობაში პირველი არ არის.

ა. ფაცურია

მუშაობის გარდაქმნის გზით

13 ოქტომბერს ჩატარდა ეკონომიური ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის გაერთიანებული კრება, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნის საკითხი. მოხსენება გააკეთა ამხ. **მახარაშვილმა.** როგორც მომხსენებელი, ისევე კამათში გამოსული ამხანაგები (**ქვარცხავა, მუჯირი, ლობჟანიძე და სხვები**) განსაკუთრებით **შეჩერდენ ისეთ საკითხებზე,** **როგორიცაა სტუდენტთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესება, კომკავშირლების ავანგარდული როლი სწავლაში, დისციპლინის განმტკიცება და სტუდენტთა კულტურული დასვენება.**

კრებამ აირჩია ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტი შემდეგი შედგენილობით: ამხ. ამხ. **ოთხმეზური, ლობჟანიძე, ტ. დოლიძე, დარჩია და ფაჩულია.**

კრებას დაესწრნენ საქ. ალკკ ცეკას მდივანი ამხ. **გ. გიორგობიანი,** ტფილისის კომიტეტის მდივან ამხ. **კ. მაისურაძე** და ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის მდივანი ამხ. **კობალაძე,** რომლებიც არჩეულ იქნენ უნივერსიტეტის კომკავშირის კონფერენციის დელეგატებად.

ეკონომიური ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტი ეიერგიულად უნდა ჩაუდგეს სათავეში მუშაობის არსებით გარდაქმნას და დარაზმოს ფაკულტეტის კომკავშირლები სასწავლო გეგმების მთლიანად და მაღალ ხარისხოვნად შესრულებისათვის ბრძოლაში.

დ. მ.

მოველით ამ ნაკლის გამოსწორებას

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცადინეობა დაიწყო 25 სექტემბერს, მაგრამ იგი დღემდის არ დგას ნორმალურ კალაპოტში. ისტორიული ფაკულტეტის 107 ჯგუფში საქართველოს ისტორიის სექციაში; პირველ კურსზე დღემდის გამეფებულია სტუდენტთა აშკარა უდისციპლინობა. ჯგუფში სიის მიხედვით ირიცხება 38 მსმენელი, მეცადინეობაზე დადის მხოლოდ 23. სრულიად არ გამოცხადებულა 15 სტუდენტი. ამას გარდა ადგილი აქვს გაცდენა-დაგვიანების მასობრივ შემთხვევებს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს რომ დღემდის **ჯგუფში არ გამოცხადებულან ლექციების ჩასატარებლად პოლიტ-ეკონომიის, ბერძნული ენისა და ქართული ენის ლექტორები.** მოველით ამ ნაკლოვანების გამოსწორებას.

ფ. ლოგჯანიძე.

პატატარა ფელეტონი

მოდა და კულტურულნოგა

ხა, ხა, ხა—ზარის ხმით კისკისებდა **ლილი,** რა კარგად მახსოვს, როცა პირველად ტფილისში ჩამოვედი „რუმბა“ მეგონა რუმბი, რუმბი ხომ იცით რაც არის... ეხლა კი „რუმბა“ ჩემი ხელობაა, აი „რუმბა“ ჟინიანად წამოიძახა მან და გაუსვა ფეხები.

—მკითხველს დააინტერესებს ამ ქალის ვინაობა, რომელიც, როგორც ჩანს, ქალაქის ცეკვის ენტუზიასტი გამხდარა.

ლილი ჩვენი სტუდენტი ქალია.

კაბა კოჭებამდის, თავის მარცხენა სფეროზე მოდებული აქვს ბერეტი, შემურული წარბ-წამწამი, მოელვარე ლითონის ყურსაკიდი, გამოუმეტყველი სახე და გაპუწკული შეღებილი ტუჩები—აი ლილის ნამდვილი პორტრეტი.

ქეთო, ცეკვის გარეშე მე ახალგაზრდა ადამიანი ვერ წარმომიდგენია, მიჰმართავს იგი ხშირად თავის ამხანაგ კომკავშირელ ქალს.

მთელი დღე და ღამე რომ ვიცეკვო, არ მომწყინდება. განა რა სჯობს ფერადი ბუშტებით ფოქსტროტის ცეკვას. ღმერთო ჩემო, რამდენი ესთეტიკაა. ქეთო ახალი ქალის ტიპია; უბრალო, მაგრამ მოხდენილი, ჯანსაღი, აზრიანი და ხალისიანი. იგი გააფრთებით ებრძვის ლილის ავადმყოფურ წვრილბურჟუაზიულ თვისებებს.

“შენ საცოდავი ქალი ხარ—აღელვებით მიჰმართავს ხოლმე იგი ლილის—შენ დაბალი და მეშჩანური წრეების ტყვე ხარ და ამ ტყვეობას თავი უნდა დააღწიო. ძალიან ცდები თუ ფიქრობ, რომ მე და ჩემ ამხანაგებს გახალისება, ცეკვა და გართობა არ გვიყვარს, ჩვენ ვცეკვავთ და შეიძლება არა შენზე ნაკლებ მოხდენილად მაგრამ შენსავით ცეკვა თვითმიზნად არ გადაგვიქცევია, ჩვენ ვიცით გართობის დრო და ადგილი ისევე, როგორც მუშაობისა და ბრძოლის დრო და ადგილი. ანდა განა ჩვენ ლამაზად ჩაცმა დახურვას გაურბივართ? სრულიადაც არა, მაგრამ სამარცხვინოდ მიმაჩნია წარბ-წამწამების შემურვა, ყურსაკიდების გადამეტებული მოდა, ზიზილპიპილები და დღეში ოთხჯერ ტანსაცმელის გამოცვლა. ეს მოცლილი და გადაგვარებული ხალხის საქმეა“.

ქეთოს არგუმენტებმა ლილი ვერ დაარწმუნეს.

„შენ, ჩემო კარგო, არ იცი რა არის ცეკვის ექსტაზი“, გაცხარებით უპასუხებდა გაკულტურულნებული ლილი.

მამის სული ნუ წამიწყდება ამას წინათ ექვსი საათი განუწყვეტლად ვიცეკვე, არ დაგკვლებია ფოქსტროტი, ჩარლსტონი, „რუმბა“ თუ ტანგო. აი, ცეკვა ამას ქვია“.

ქეთოს ცდა ლილისს გარდაექმნისა მარცხით დამთავრდა. ქეთო ძალიან წუხდა, რომ ლილის მეტად გვიან მოესწრო, თორემ უფრო ადრე, რომ შეხვედროდა შეიძლებოდა მისი განთავისუფლება მეშჩანური ბურჟუაზიული გავლენისაგან. მაგრამ ეს გავლენა მას ეხლაც სისხლში და ხორცში ჰქონდა გამჯდარი.

ლილი მზად არის მთელი დღე ან სარკის წინ, ან ფოქსტროტის თამაშში გაატაროს, ამაზე მაღალი ინტერესი მისთვის არ არსებობს. იგი ყველაფერს ამ ერთად ერთ ინტერესს უმორჩილებს.

დაკვირვებული თვალი შეატყობდა, რომ კავალრის გულზე მინდობილი ლილი ერთ საღამოს ძველებურ ხალისით არ ასრიალებდა ფეხებს. ამ პატარა მოვლენას ქონდა თავისი დიდი მიზეზი. ლექციების სისტემატიური გამოტოვებისა და დაგვიანებისათვის ლილი უნივერსიტეტიდან გამოსარიცხავ სტუდენტთა სიაში შეეტანათ. რა თქმა უნდა მას არ აწუხებდა სწავლისაგან მოწყვეტა, მხოლოდ წუხდა, რომ სტუდენტის სახელს, რომლითაც ასე ამაყობდა, ის უნდა გამომშვიდებოდა. „ფოქსტროტმა დაგღუპა“ ინსტიქტურად წამოიძახა მან და თავდავიწყებით გაქანდა აგზნებულ კავალერთან ერთად.

გუშინ დილით ლილი აღელვებული მივარდა ქეთოსთან უნივერსიტეტში.

ქეთო, ჩემო ქეთუსი, როგორც გავიგე, მე გასარიცხავთა სიაში შეუტანივართ. თუ **და** ხარ რამე დამეხმარე, შენ მოწინავე სტუდენტი ხარ, რომ მოიწადინო შესძლებ ჩემ დატოვებას.

შენი გადარჩენა უკვე აღარავის შეუძლია, ნაღვლიანად უპასუხა ქეთომ. რა სინდისი გაძლევდა ნებას, რომ ფუქსავატური გართობისათვის ამდენი საათები გაგეცდინა.

მე ვერაფრით დაგეხმარები.

გარი.



ავაგოთ თვითმფრინავი

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“-ს სახელობის თვითმფრინავის ასაგებ ფონდში—ეკონომიურ ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციას შემოაქვს 500 მანეთი. სოც-შეჯიბრში ვიწვევთ — სახ. უნივერსიტეტის ყველა ცალკე კ. კ. ორგანიზაციებს.

ტფ. სახ. უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი: **ოთხმეზური.**

—

ა/კ. მეცნიერ მუშაკთა სახელობის თვითმფრინავის ასაგებ ფონდში შემოაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გინაძე გრიგოლს, ნ. ნამიჩეიშვილს, კ. სულაქველიძეს, პ. კოგბიძეს, ნ. გველესიანს, კ. ჭირაქაძეს, ა. მესხს, ი. კვირიკაძეს, მ. ჩიკვაიძეს, ა. კაციას, ვ. მირიანაშვილს, ს. მრევლიშვილს და . ამილახვარს.

გ. სიხარულიძე

—

ამხ. ბორის სიხარულიძის გამოწვევით ა.-კ. მეცნ. მუშაკთა სახელობის თვითმფრინავის ასაგებ ფონდში შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ: დ. სიმონიშვილს, გ. კოკელაძეს, დ. ოგაგველიძეს, ვ. ასათიანს, ა. კაჭახიძეს და ლ. ციხისთავს.

გ. ჭირაქაძე.

ავიღოთ კურსი პირველოგისაკენ

სახელმწიფო უნივერსიტეტის საკლუბო მუშაობა დღემდის ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. კლუბის ძველმა გამგეობამ ვერ შეძლო უნივერსიტეტის კლუბის გარშემო ცოცხალი, მოქმედი ადამიანების დარაზმით გადაექცია ის კულტურულ-მასობრივი მუშაობის ცენტრად. აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად გადადგმულია ნაბიჯები. მოწვეულია მარჯანიშვილის სახ. თეატრისმსახიობი **გ. ლომაია.** ამხ. ლომაია უკვე შეუდგა მუშაობას.

გადადგმულია ნაბიჯი წრეების მუშაობის გამოცოცხლებისათვის. კლუბთან უკვე ჩამოყალიბდა **დრამატიული, მომღერალთა, ჰადრაკის, ფოტოს და სასულე ორკესტრის წრე.**

უახლოეს დროში კლუბი აწყობს ქართული პოეზიის საღამოს. მოწვეული იქნებიან პოეზიის საუკეთესო ოსტატები.

კლუბის მუშაობის დიდი ნაწილი დაეთმობა დრამატიულ წრეს. შექმნილია უნივერსიტეტის ადგილობრივი ძალებისაგან დასი, შედგენილია რეპერტუარი. რეპერტუარში შეტანილია ქართული კლასიკოსებისა და თანამედროვე ქართველ დრამატურგების გასცენურება.

მოხდება კლუბის სცენის რეკონსტრუქცია; ძირითადად უნდა გადაკეთდეს არსებული სცენა, რისთვისაც ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული 15.000 მანეთი დამტკიცებულია რექტორის მიერ.

ს.—ბ.

მივხედოთ კედლის გაზეთს

პირველი, რაც თვალში გეცემათ უნივერსიტეტის შენობაში შემოსვლისთანავე, ეს არის კედლის გაზეთები.

რა მდგომარეობაშია ისინი.

ყოფ. ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტის კედლის გაზეთს—**„ლენინის გზით“**—არა აქვს თარიღი, არც ნომერი, გაზეთი გაკეთებულია ტლანქად, მას არ უვარგა ფორმა და არც შინაარსია დამაკმაყოფილებელი. გაზეთის მხოლოდ ერთი ნომერია გამოშვებული მთელი წლის განმავლობაში.

ეკონომიური ფაკულტეტის კედლის გაზეთი **„ლენინის დროშით“**, რომელიც გასული წლის 7 ნოემბერს გამოვიდა, მხოლოდ წელს, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, ჩამოიღეს.

ასეთივე ბედი ეწვია რემედასის კომიტეტის კედლის გაზეთსაც.

სამართლის ფაკულტეტის კედლის გაზეთს **„ლენინის გზით“** რედკოლეგიას შეუძლია იამაყოს იმით, რომ მიმდინარე წლის 8 ივნისს „მოახერხა“ გაზეთის გამოშვება და ეს ნომერი დღესაც „ამშვენებს“ უნივერსიტეტის კედლებს.

ასეთივე მდგომარეობაშია **ასპირანტურის** ინსტიტუტის კედლის გაზეთიც, თითქმის სრულებით მივიწყებულია **მათემატიკური** ფაკულტეტის კედლის გაზეთი.

უნდა აღვნიშნოთ ერთი მდგომარეობაც: თითქმის ყველა ფაკულტეტის კედლის გაზეთს ერთნაირი სახელი აქვს დარქმეული.

სახ. უნივერსიტეტის კედლის გაზეთების მუშაობა გაყინული წერტილიდან უნდა დავძრათ.

დ. მაისურაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია

ტირაჟი 3800 | სახელმწიფო უნივერსიტეტის ტიპო-ლიტოგრაფია | მთავლიტი რწმუნებული გ. № 7236